უცხოური ენების საგნობრივი გამოცდის <u>ლაპარაკის ნაწილის</u> შეფასების სქემა
მაქსიმალური ქულა 16.

ქულა	გაბმულობა; შესაბამისობა დავალებასთან	ლექსიკური მარაგი	გრამატიკული მრავალფეროვნება და სიზუსტე	წარმოთქმა
4 **ძალიან კარგი**	<u>ლაპარაკობს ძალიან კარგად,</u> თავისუფლად და თანმიმდევრულად. დავალებებს პასუხობს სრულად და არგუმენტირებულად. საუბრობს პაუზების გარეშე. დროს იყენებს სრულად.	ლექსიკა მდიდარი და მრავალფერო-ვანია; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	იყენებს რთულ და მრავალფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ძალიან მცირეა.	ბგერები სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი – თანმიმდევრუ ლი. შეცდომების რაოდენობა მინიმალურია.
3 **კარგი**	<u>ლაპარაკობს კარგად,</u> პასუხები არგუმენტირე-ბულია, თუმცა ზოგ შემთხვევაში დარღვეულია ლოგიკური და/ან სტრუქტურული თანმიმდევრობა. საუბრობს შესამჩნევი პაუზების გარეშე.	ლექსიკა ძირითადად კარგია; პასუხობს მოთხოვნებს. შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	იყენებს საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს; შეცდომების რაოდენობა ბევრი არ არის.	ბგერები, უმეტესწილად, სწორია; მახვილი, ინტონაცია და რიტმი, უმეტეს შემთხვევაში, თანმიმდევრუ-ლია.
2 **საშუალ ო**	<u>ლაპარაკობს საშუალოდ;</u> პასუხი, ზოგ შემთხვევაში, მოკლე, წყვეტილი და/ან არალოგიკურია. არგუმენტები სუსტია. ფრაზებს იმეორებს. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა ერთფეროვანი და, ძირითადად, მარტივი და/ან განმეორებადია. შეცდომები თვალშისაცემია.	იყენებს მარტივ და საშუალო სირთულის გრამატიკულ სტრუქტურებს. სტრუქტურები მეორდება. შეცდომები თვალშისაცემია	ბგერები, მახვილი და წარმოთქმის სხვა ელემენტები უმეტესწილად, არ არის სწორი.
1 **საშუალ ოზე დაბალი**	<u>ლაპარაკობს ცუდად,</u> დაზეპირებული ფრაზებით. პასუხი, უმეტესწილად, მოკლე, წყვეტილი, გაუგებარი და/ან არალოგიკურია. პაუხები არ არის არგუმენტირებული. დროს სრულად არ იყენებს.	ლექსიკა მეტად ერთფეროვანი, მარტივი და/ან არაადეკვატურია. ლექსიკური შეცდომები ხშირია.	იყენებს მარტივ და/ან ერთფეროვან გრამატიკულ სტრუქტურებს; გრამატიკული შეცდომები ხშირია.	წარმოთქმის შეცდომები სისტემურია.
0 **ცუდი**	ლაპარაკობს სრულიად გაუგებრად; ან ლაპარაკობს სხვა თემაზე ან დუმს.	სახეზეა სრულიად შეუსაბამო ლექსიკა.	სახეზეა ერთმანეთთან დაუკავშირებელი და შეუსაბამო სიტყვები.	სწორად არ იყენებს წარმოთქმის არც ერთ ელემენტს.